აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №1/ნ

2017 წლის 13 მარტი

ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის №1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 5 მაისის №1/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 08/05/2014; 010320040.33.058.016072) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოღებულ იქნეს მეორე მუხლის, მე-4 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-10 მუხლის, მე-12 მუხლის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლის, მე-18 მუხლის, მე-20 მუხლის, 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის, 25-ე მუხლისა და 27-ე მუხლის მეორე პუნქტები.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **ზაალ მიქელაძე**